03/02/2022

რუსეთის ელჩი იანვრის თვეში იერუსალიმის პატრიარქს უკვე მეორედ შეხვდა

2022 წლის 31 იანვარს რუსეთის ფედერაციის ელჩი ისრაელში ა. ვიქტოროვი უნეტარეს წმიდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქს თეოფილე მესამეს შეხვდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთის ელჩი ანატოლი ვიქტოროვი იანვრის თვეში უკვე მეორედ ხვდება იერუსალიმის პატრიარქს.

შეხვედრაზე რუსეთის ელჩმა ისრაელში იერუსალიმის პატრიარქ თეოფილეს დაუდასტურა, რომ რუსეთის ფედერაცია დაინტერესებულია შუა აღმოსავლეთში ქრისტიანთა ბედით, ამიტომაც ის გააგრძელებს იერუსალიმის საპატრიარქოს “მფარველობას”.

wenews.ge